

# მათრახი

საერთაშორისო  
შრომობა

რედაქციის მისამართი: ქუთაისი



ხელის-მოწერა არ მიიღება. მასალები გამოიგზავნება ამ ადრესით: თიფლისი, ტიპოგრაფია შრომა, გეორგიუ ბოლვაძე


## სამიკიბნოების დაკბევა თბილისში



## ვიკიბნების მოთქმა.

— ვაი ჩვენო დეკნებო,  
კარებ დილუქულებო,  
ვაი ჩვენო ტიკებო,  
ვაი ჩვენო ფულებო!..

ვაი ჩვენო მუშტრებო  
ჩვენთან დაჩეულებო,  
წინაღ გამოპრეტულნო  
ესლა დამხეულებო.



# აკაკის ცხელაღიანი

— ჩვენ მოგებას ველოდით.  
 ეს რა მეხი დაგვეცა:  
 „კუნა“ სულ გაგვიცივდა,  
 მზარეული გაგვექცა!  
 დახლი გამოგვეცალა  
 და ოჯახი დაგვექცა!..  
 ვინ კითხულობს ჩვენს ამბავს,  
 რომ პასუხი გაგვეცა!..

— თავი ფაშად მოგვეკონდა,  
 ვითვლებოდით — „აღებდა“,  
 დღეს ღუქანიც არა მაქვს  
 დასაკეტ-გასაღებად!..

ვირთხები ტიკს ვწვევა  
 სოროში წასაღებდა  
 და „კუნა“ გაუხდიათ  
 სასეირნო ბაღებად!..

— ცოლები დაგვიგიჟდა —  
 სულ მოდნათა იცვამენ,  
 წელზე მაგრა იჭერენ,  
 პირზე ბლომა ისვამენ!  
 მათ ფეხებზე ჰქიდიანთ —  
 ეს ცული დრო, „ვიანა“,  
 რასაც მოგვთხოვს, „ბერეგის“  
 თუ არ მიგვატანია.

— ღამ-ღამობით კლუბებში  
 გასართობათ დადიან,  
 იქ ლოტოს თამაშობენ,  
 მაღაყებს ვადადიან!  
 ნაშვალამევეს ვაშაშასაც  
 მიირთმევენ მაღიან  
 და მერე ღმერთთან იცის  
 ვისთან რასა სჩადიან.

— ქვეყანა სულ გაფუჭდა,  
 ევრას ეხედავთ ჰკვიანურს,  
 მუცელი დაგვიჩურბა  
 და გვიმღერის კიანურს!..  
 ეჰ, დროებავ წამხდარო,  
 შენ დაგიდგეს თვლია;  
 მიკიტნებსა შიოდეს,  
 ვანა სამართალია?!

„ნეტარ არს ერნი იგი, რომელმან იცის  
 გალობა შენი“. (ფსალ. 88—14)

ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,  
 ქართველთ უიღბლო მზარეო,  
 ძამა-ფლასითა მიორთე,  
 იგლოვე, იმწუხარეო,  
 დაღვარე ცრემლი ნაჯადთ,  
 ცრემლი რფელი და ცხარეო..  
 უბედო ბედმა ნაღველი  
 სხევი არ გაქმარა მწარეო,  
 შეილი მოგტაცა უბადლო,  
 შევენება შინ და ვარეო..  
 აღარ გყავს შენი აკაკი,  
 შენი მზე, შენი მიფარეო,  
 ლხინში სუფრულის მღერალი  
 და ქირში მგლოვიარეო,  
 ვარსკვლავი შენის დიდების,  
 მოკაშკაშ-მოეღვარეო.

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,  
 თახლით მოსილო მზარეო.  
 სამძიძობის შემდეგ, ნუგეშიც  
 ისმინე შეიწყნარეო!  
 ნუ დაეცემი სულითა,  
 ქედი ნუ მოიხარეო,  
 ჭრილობას კენესა არ შევლის,  
 სხევი რიგათ ემკურნალეო.  
 აკაკის მცნებას მისიდე,  
 მის გრძნობას ეზიარეო,  
 მის ცრემლით ნაღობო გზაზედა  
 წაღმართად წაიარეო,  
 მტერს მტრულად დახედი, მოყვარეს  
 მოყვარულათ ეტრფიალეო,  
 მზავრელთ გულ-და გულ ეკვეთე,  
 ჩაგრულთ მწედ აეფარეო,  
 ძმობა-ერთობის დროშის ქვეშ  
 შეილთ თავი მოუყარეო,  
 სიყვარულის და სიმართლის  
 ღამპარი წაიმძღვარეო.

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,  
 გულდაკოდლო მზარეო,

მა — ნი.

\* ეს მშვენიერ-გრძნობიერი ლექსი დაბეჭდილია ქუთათურ ორ-კვირულე ჟურნალ „განთიადში“ (№ 3), მაგრამ რადგანაც „განთიადს“ ყავს მკითხველთა განხალღებული რიცხვი (სულ ზუთი: რედაქტორი, ამოთამწყობი, კორექტორი, ტენზორი და თვით ავტორი) ამიტომაც ჩვენ ეს ლექსი გადწოგბეღდეთ და მით მეტ მკითხველს გავაცანიეთ.



შეიტკბე შენი პირშუო ძე,  
 დროებით ესაშარეო!  
 ღმერთი დიდია, კრილობა  
 გაგიმთელდება ადრეო,  
 ჯოჯოხეთისა ნგრევაში  
 გახდები მოზიარეო...  
 და შენთან ერთად აღსდგება  
 აკაკიც პირმკინარეო.  
 ცა-ფირიუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,  
 არწივთა მშლელი მხარეო!

ვერშიცანა შვილი

დიდებულ მკონის  
აკაკის სსოვნას.

შე ჩაესენა, ჩაჭრა ვარსკვლავი,  
 დაღუმდა ენა, მკვეთრი, ძლიერი,  
 დაღუმდა ჩანგი, მაშვრალთ მოსარჩლე;  
 დაობლდა კვალად ქართველი ერი.

დიდო მგოსანო, ტანჯულთ იმედო,  
 უბადლო სხივო, ბერო ქალაზა,  
 გმირებს უხმობდი ჩაგრულთა მხსნელად  
 მტრებს ძილს უფრთხობდა შენი ნაღარა.

ბრძოლისა ცეცხლში შენ გვიწრდი გული  
 და დროშით ხელში გვიძლოდი წინა,  
 გმირო სარდალო, შენ უკვდავი ხარ,  
 ხალხისა გულში გაქვს მარად ბინა.

მულამ იქნება ანდრეძი შენი  
 მომავალთ შორის მტკიცედ დაცული,  
 არ გადასცდება გზას შენგნით რჩელთ  
 შენი ლაშქარი მაშვრალ-ჩაგრული.

„ქაჯეთის ციხეს“, სად იყოფება  
 „ნესტან-დარეჯან“ მიჯნური შენი,  
 ამა ლაშქრისა მხენ, მძლავრი ხელით  
 შეირყევიან ციხისა ბქენი.

მეის დაითრგუნვის ქაჯთა ლაშქარი,  
 „ნესტან-დარეჯან“ აღსდგება მკვდრეთით,  
 გამარჯვებისა ჰანგი მთელ არეს  
 ყურს სწვდება ირგვლივ ზღვით და ხმელეთით.

ტურფა ბაღნარნი აყვავდებიან  
 და ვადიშლება ათასფრად ველი,  
 საგაზაფხულო კიკვიკს დაიწყებს  
 მერცხალი ლალი ტურფა ფრინველი.

ნიავე წყნარი გულს ჩაუკონის  
 ყვავილს მშვენიერს, იას მკვლელ დრისა,  
 ბულბულიც დასტვენს, საფლავს ჩაგძინებს  
 შენსა საყვარელს ჰანგს „ტი-ტიას“.

მიჯნურიც საფლავს შეგიმკობს ვარდით,  
 ტრემლსა დაგაფრქვევს მგზნებარე თვალი:  
 „არ ვიყავ მკვდარი, მხოლოდ მეძინა“ —  
 ის ჩამოგძახებს თავისუფალი.

გოგია.

არ მომკვდარა

(აკაკის სსოვნის)

არ მომკვდარა! არც მოკვდებმა არა! არა!  
 ძირს ვოდებმა! ტრემლთა ფრქვევა კმარა! კმარა!  
 განა სიკვდილს ძალა შესწევს მოგვტაცოს ის,  
 ვინც აანთო ხალხში ცეცხლი სიყვარულის?  
 არა! არა! ის კვლავ ცოცხლობს, — არ მომკვდარა!  
 სიკვდილი ხომ მის წინაშე არს პატარა?  
 მაშ ნუ ვტრირთ! შორს გლოვის ხმა! კმარა! კმარა!  
 ნუ ვფრქვევთ ტრემლს! ისეც ბევერი დაიღვარა!  
 არ მომკვდარა! არც მოკვდებმა, არა, არა!  
 მან ხომ ხალხში უკვდავება დაიწყარა?  
 მაშ ნუ მოვთქვამთ შორს გოდება, კმარა! კმარა!  
 და ვიწამით, რომ ის ცოცხლობს, არ მომკვდარა!  
 ბ. გურული.

აბაშის სსოვნას.

გაწყდა სიმი ჩონგურისა  
 და მიყუნდა მწყობრი ჟღერა,  
 აღარ ისმის აღმზრდელ მამის —  
 ტკბილი ნანა და სიმღერა.  
 წმინდა გრძნობით გამსკვალულმა,  
 შესარულა თვისი ვალი,  
 დაჩაგრულ ერს, ბნელეთში მყოფს  
 გაუთავა გზა და კვალი...  
 მადლიანი კალმის წყვრით  
 შესძრა ციხე მიუვალა...  
 ჩვენ ვერ შევსძლებთ, მის ღვაწლს მხოლოდ  
 დააფასებს მომავალი.

რ. ჯიბილ.





## სულის ცრემლები

ქველითგანვე ეს ქვეყანა უკუღმართად მოწყობილა, —  
ბედნიერი ბოლომდისინ არეინ არის, არც ყოფილა;  
შეგება-ლენენას კენესა მოსდევს; რაც აშენდა — დამზობილა  
და სიცოცხლის სარეცელში შავ სიკვდილი ჩაწოლილა...

ვისაც გუშინ ნეტარებით უფეთქავდა მეკრდ ქვეშ გული,  
სამოთხეში ატარებდა ნაზი ტრფობა, სიყვარული;  
ხვალ ძიმწარეთ შეეცვლება სიცოცხლე და სიხარული  
და გულს შესჰმს ცრუ იმედით ანაჩენი ნაღველ — წყლული...

გაზაფხულზე მზის სხივებით ია ხარობს, ვარდი სტკმება,  
თავს ბუღბული დასტრიალებს, ჰანგებს უწნავს, ეშხით თერება, —  
„ვერხვის ძირას“ ქალწული ზის, ტოლს იგონებს, ცრემლით დნება, —  
მგოსანს სატრფოს დაშორებით სევედა ბურავს, გული სწყდება...

ზამთარია. არე-მარეს სუსხი აზრობს, სუსხი ჰყინავს. —  
ბუჩქის ძირას ტურფა ია მიმალულა, ტკბილათ სძინავს;  
ვარდს სიზმარში მტკიცედ სჯერა, რომ ბუღბული არ გასწირავს, —  
არ იგონებს მგოსანს სატრფო, მტრისა ტყვიით განავმირავს.

ჰორიზონტი შეიღება, გადაექლო წითელ სვეტი,  
ცასა ბურავს სისხლის ორთქლი ძირს მიწიდან ანასლტეტი.  
აქ მოგროვდა ბოროტება ჯოჯოხეთით მონახვეტი  
და აღმოხდა დედა-მიწას კენესა გულით მონაწყვეტი.

დღს ქვეყნისა უკუღმართად გადაბრუნდა ყოფნის ჩარხი. —  
ბევრს არსებას გაეთხარა შავ უფსკრულის შავი არხი. —  
მომავლის იმედები გულშივ დარჩა ჩანამარხი  
და აღსრულდა საუკუნით ტარტაროზის ნაკარნახი...

სისხლით ირწყვის მიდორ-ველი, ჩამობნელდა არე ცისა;  
დაშრა შეგების ნაკადული, — ჩაქრა მთვარე, სხივი მზისა;  
შავს ბურუსში გაეხვია წმიდა ჯეარი, სახე ღეთისა. —  
ვინ თხოულობს და ან რისთვის ამდენ მსხვერპლსა შესაწირსა?

ბოლო არ სჩანს, სამსხვერპლოზე კვლავ პრიალებს ცეცხლის ალი,  
სტირს სამყარო... ბუნებამა მოიხვია გლოვის შალი, —  
სიკვილის ცელი აუღესავს, ჯერ ბევრი აქვს მოსაქალი. —  
არეინ უწყის სამერმისოთ რას გვიშალებს მომავალი.

სტირის მღელო სისხლის ცრემლით, კენესის ველი, სტკივა გული  
და იმედსა უკურნები ასჩენია ნაღველ — წყლული.  
ტყეს ფოთოლი შამოცრცენა, როდის მოვა გაზაფხული,  
რომ გამოთელდეს კვლავ იარა, გულმა იგრძნოს სიხარული?..

მეის სიკვილი, მოდის სისხლი, ჩამობნელდა არე ცისა,  
დაშრა შეგების ნაკადული, ჩაქრა მთვარე, სხივი მზისა;  
შავს ბურუსში გაეხვია მადლიანი სახე ღეთისა. —  
ვერვინ ახსნას საიდუმლო მსოფლიოსი სავალ გზისა.

გ. ლაღოშვილი.

# ორფეხა ოზობები.

(კაცი-ულაპიები).

(შემდეგი. იხ. „მათრახი“ № 2)

წასული კვირის ნომერში დავპირდი, ჩემო მკითხველო, კიდევ მომეთხრო შენთვის „ულაპია ოზობების“ ოინი. და მით დამემტკიცებინა, თუ როგორ კარავს თავის პირად ღირსებას მამრობითი სქესი ორფეხა ადამიანთ წოდებული მღერობითი სქესთან შეუღლების შემდეგ. დიახ, ბევრი, ძლიერ ბევრი, ას ცოლიანში ოთხმოცეა ცხრამეტი ნახევარი ჯვრის წერის შემდეგ ის აღარ არის; რაც წინად იყო, რასაც ის წინად მრავალჯამიერს უმღერდა, ახლა სულათთანას უგალობს, რაც წინად უყვარდა, ახლა სძულს, რასაც წინად ეძებდა, ახლა გაურბის, რითაც წინად ამყობდა, ახლა ირცხვის, ერთი სიტყვით, ცოლმან შთანთქა და გადაეცაპა ქმარი... და თუ ეს ქმარი მინც ცოცხალია და დემიწუნე ლოდავს, მხოლოთ იმისთვის, რომ აღასრულოს ბრძანება და ნება თვისი ცოლის, იმ ცოლის, რომლის შესახებაც ჯვრის წერის დროს ეკლესიამ ბავლე მოციქულის პირით უბრძანა: „ცოლნი დაემორჩილენით თვისთა ქმართა, ვითარცა ქრისტე ეკლესიასა, და ცოლსა მას რათა ემინოდეს ქმრისა მის“.

არც ერთ „მოდისტა“ ქალს არ შეუძლია ისე ადრე და კარგათ კამის გადაკეთება, როგორც ის ბრძანება გადააკეთეს ცოლებმა, შეაბრუნეს ქეხი და ყველა ქმარი მორჩილ არს ცოლისა, ყველა ქმარსა ემინის ცოლისა მის“. ღმერთმანი მწარეთ შეცინება, როცა მამრობითი სქესი სავარიოთ საყოფოთო გამაცნობს ხოლმე თავის მღერობითი სქესს და მეტყვის: „გოზოვთ იცნობდეთ, ეს ჩემი ცოლი გაზოვსო“. ვიცი, ვიცი ძია ჯან, რომ შენ ხარ მისი ცოლი და ის შენი ქმარია, მაგრამ ნუ გეშინია, მართა შენ არ ხარ ამისი მავალით. „მთლად ქვეყანა ასე ცხოვრობს, შენ ხომ არ ხარ გომთა-გმირი“. სანუგეშოთ გეტყვი კიდევ მავალითს.

## III

### სანდრო ბალაძე.

რა კარგი ბიჭი იყო სანდრო ბალაძე, რა სამხანავო, რა გულ კეთილი. ამხანაგ-მეგობრისათვის არაფერს ზოგავდა, უკანასკნელ გროშს გაგინაწილებდა. მართალია დიდი თანამდებობის კაცი არ იყო, მაგრამ თემში შკიდ-რვა თუმანს კი შეარებდა ხელს; დიახ შეარებდა ხელს, თვარა მერე ეს ფულეები მისი ღარიბი უადგილო ამხანაგებისა და მის მკირე-წლოვან, მოსწავლე ძმებსა და ღებს უნაწი-

ლებდა, თითონ იოლათ ვადიოდა. მწელი პურს ქაშა, ოღონდ მისიანები ყოლოდა მადლიერი. ყველას უყვარდა სანდრო, ამხანაგები სოციალისტს ეძახდნენ... ბევრჯერ მის ამხანაგებს მისი საცვალიც კი წულიათ... სარ სიტყვებდა სანდრო თავის ოთახის გასაღებს თოქმის ყველა მისმა ამხანაგმა იცოდა, ბევრჯერ მოსულა სანდრო სახლში და აიარ დახვედრია სასადილოთ მომარაგებული საჭმელი, ბევრჯერ ღამით დაბრუნებულ სანდროს უნახავს თავის საწოლში ხერინვა ამოშვებული ამხანაგი... სანდროს ეს არ წყენდა, პირიქით უხაროდა, რომ მის შემძლება ქონდა მეგობრებისთვის პატივი ეცა, უჭირთ, თორემ რომ არ უჭირდეთ, იძულებულნი რომ არ იყვნენ, არც ჩემგან დედაგებენო... წარმოიდგინეთ, თუ ვინმე მადლობას ეტყოდა, სანდრო წითლებოდა და პირიქით იხიდა ბოდიშს შესაფერად ვერ გეცი პატივი, მოუწყობელი ვარ, დაულაგებელი, აი ცოლს როცა შეევირთავ, უკეთ მოვეწყობი და შევმძლება უკეთაც დაგებდეთ.

ხანუმა-ქაბატუების სიაში სანდროც იყო ჩაწერილი... შეაცდინეს სანდრო, ისარგებლეს მისი გულწრფელობით, შერთეს „ანგელოზი“ ქალი და დღეს... ნულარ მკითხავთ თუ რა მოუვიდა სანდროს... „ანგელოზი ამხანაგის“ მეომებით სანდრო სულ ჩამოშორდა თავის სიყრმის ამხანაგებს, არც ერთი ამხანაგი დღეს მის ოჯახში არ მიდის, რადგანაც ყველამ კარგათ იცის, რომ თუ სანდრომ ერთ ამხანაგს სახლში სადილი აქმა სამაგიეროთ მისი „ორფეხა ოზობა“ თვით სანდროს დათმენინებს ოცდაათ სადილ-ვახშამს, გაუმწარებს სიცოცხლეს... ვანა მართა ამხანაგ-მეგობრები ჩამოშორდა სანდროს? დიახაც არა! არამედ იმდენი ეცადა, იმდენი იხრიკა, ისეთი ქსელის ხლართები გააბ-გამოაბა სანდროს მულელებს, რომ თავის ქმარს ჩამაშორა დები ძმები, არც ერთი დღეს მის ოჯახში არ დიდის. იხარშება სანდრო თავის გულში, ზოგჯერ კიდევ ტირის, მაგრამ რა ქნას, შემოქოლია მისი ნება-სურვილი, გადაეცაპეს მისი პიროვნება, მისი „მე“. მისი ცოლი თავის ქმარის კომენდანტიც არის, გენერალ-გუბერნატორიც, სახვედრო ცენზორიც და სახელმწიფო ბიუჯეტის (შემოსავალ-გასავლის) კონტროლიც არის. თუ ცოლმა ნება არ ღართო, ისე სანდრო ვერც სადმე წავა, ვერც სახლში ვინმეს მიიღებს, ვერც წერილს მისწერს ვინმეს და ვერც ერთი შაურით დაეხმარება...

აღარ არის სანდრო თავისიანებისათვის, მაგრამ სამაგიეროთ ცოლის ნათესავები თითო-ოროლა არასოდეს არც გამოწყდება მის ოჯახში.

# სახელდახელო

საქართველოში  
შენათრთვენი

ასეა საზოგადოთ ბევრი ქმრის ცხოვრება და ეს ჩემის აზრით იმის პრაღია, რომ საცოლო ბიკემა არ იციან ინდოელების ბრძნული და პრაქტიკული რჩევა. აი რა კემშარიტებს გვირჩევენ ინდოელები: ყველა დედა-კაცს აქვს თავის ქმრის ზურგზე შესადგამათ გამზადებულ ოცდა ოთხი კეხი. ამ კეხების ზურგზე შედგმას ქალი იწყებს ჯგრის წერის შემდეგ, მაგრამ ვინც ყოჩალი ვაჟია, იმდენი უნდა შეყაროს ტლინკები, რომ დედაკაცმა ვერავითარი ხრიკით და აღერსით ვერ გაახერხოს, რომ ქმარს შეადგას ზურგზე ერთი კეხი. და თუ გაწყრა ღმერთი და ცოლმა მოასწრო ქმრის ზურგზე ერთი კეხის შედგმა, მშვილობით მერმე ქმრის ქმრობავ და მისო კაცობავ, ერთ კეხზე დედაკაცი მიაყალებს მეორეს, მეორეს მესამეს და ამრიგად ყველა ოცდაოთხ კეხს შეადგამს ქმარს ზურგზე და ყველა კეხზე გადაელაჯება. ამიტომაც გირჩევეთ უცოლო ვაჟებო, იხტუნეთ, იუკმაყურეთ და ეცადეთ ვეას „ნაშიერმა“ და მისმა სახიერმა არ შეგადგას ერთი კეხი, თორემ წასულია თქვენი საქმე და გადაყალბულია თქვენი პიროვნება. ამასთან არ შეიძლება არ გირჩიოთ კიდევ, რომ გახსოვდეთ იმავე ინდოელების ანდაზა:

„დედა კაცის ორმოც რჩევაში ერთი გონიერი რჩევა იქნება, მაგრამ თუ ეს ერთი დაუჯერებ ოცდა ცხრა მტრსაც „კონტრბანდათ“ შემოგაპარებს, და ამიტომ გირჩევ არც ეს ერთი გონიერი რჩევა დაუჯერო“.

არ გაწყენს თუ დედაკაც დავით გურამიშვილის რჩევასაც:

„თუ ცოლს მიეცა ქმარზედ უფლება  
ქმარი ლიაში უკუ ეფლება;

გაისვრება ლაფით  
მის ჭუჭყს საპნის ქაფით  
ველარავინ გარეცხს.

ანჩხლი და ურცხვი, თუ არის მრუში  
ზედ შეგაჯდების თუ ხელით უშვი;  
მოვიღებ მისზეხმს  
შემოგკრავს მით ღებებს  
დაგიხზელტს გვერდებს.

საითაც უნდა, იქითკენ წარებს  
გაღმოვიჭირებს მათარხებს მწარებს  
ავიღებს აღვირებს —  
გატირებს, გაყვირებს  
ისე გატარებს.

უმჯობესი არს ლომ-ვეშაბთანა,  
ვიდრე ბოროტსა დედაკაცთანა...

ომიანობის გამო თბლისის საბჭოს ხმოსნებს დიდი საქმე გამოუჩნდათ.

ქალაქის მოურავს არც დღე სძინავს, არც ღამე. მოსკოვში ეხლა კრებაა ქალაქების მოურავებისა.

ჩვენი ქალაქის მოურავიც მიიწვიეს. მოსკოვში გაგონილი აქვთ ხატისოვი დიდი მქერმეტყველი კაცია, ლაპარაკი ძლიერ ეხერხებაო და დიდის თხოვნითა სთხოვეს — მობძანდი მოსკოვში და შენი ტკბილი რჩეები გავეგავნეთ.

ვერ მივართვი ხატისოვი მოსკოვს. „რას ბძანებთო, შეუთვალა, აქ იმდენი საქმე მაქვს, იმდენი, რომ ტფილისს თავს ვერ დავანებებო.“

მართალია, ომიანობის გამო ერთი საქმე ჩამოგვშორდა — პოლიტენიკუმის დაარსება ჯერ-ჯერობით გადავდეთ ომის დასრულებამდე, მაგრამ საქმე მაინც ბევრია — ქალაქს პატრონობა და ბატონობა უნდა.

ასე გასინჯეთ, რომ ხმოსნების არჩევანებისთვისაც არა გეცალიან. ან რა საჭიროა ეხლა ხმოსნების არჩევნები. განა ეხლადღელი ხმოსნები ცუდად უყვანია ქალაქსა. ხმოსნები რომ ავირჩიოთ, იქნება თავიანთი მზრით ხმოსნებმა სხვა მოურავი აიჩიონ, სხვა წვერები გამგეობისა, სხვა მდივნები...

არა, ისევ შეჩვეული ქირი არ უჩრვენიათ ქალაქს?

ან საღ ვიშოვით მეორე მქვერმეტყველ ხატისოვს, ან სხვა არლუთინსკებს...

არლუთინსკები თვით ბედმა არგუნა თფილისს ქალაქის გამგეობის წვერებით და მათი გამოცელა ქალაქს დალუბავს.

მართალია, ომის დროს ზოგიერთ სარდალსა სცვლიან, თუ კარგი არ გამოდგა, მაგრამ ქალაქის მოურავი და გამგეობის წვერები ხომ სარდლები არ არიან, მტრის არ ებრძვიან და მაშასადამე ვერავის ვერაფერს დაუშავებენ.

ან რა საჭიროა ომის გათავებამდე ხმოსნების არჩევა. ომი ხომ მეორეთ მოსვლამდე არ გაგრძელდება... ესტყვათ, ორიოდვე წელს კიდევ გაგრძელდეს ომი, ან ოთხიოდვე წელს. რა დიდი საქმეა...

არჩვენის გადადებამ ომის გათავებამდე დასტური დართოთ თვით „კავკასიკო სლოვომ“. ეს გაზეთი ბძანებს — ეხლა არჩვენების დრო არ არისო. დაე დარჩნენ ძველი ხმოსნები, ძველი მოურავი და ძველი გამგეობაო.

მათი მოღვაწეობა და მოქმედება არც იმაზე

კარგი იქნება, რაც ოთხი წლის განმავლობაში იყო და არც იმაზე ცუდია.

ამიტომ არჩევნები უნდა გადაიდოს. კარგი საბუთია, მე და ჩემმა ღმერთმა. არა, სულაც რომ აღარ მოხდეს არასოდეს არჩევნები, რა დაშავდება? **ხმოსანი ეშმაკი.**



## მესტეირული

(ჭრუაი ფიჭობა)

ბრძოლის ველზე ვარ, გარშემო მტერი მყავს შემოსული; თუმცა ბევრს ვბოკავ, მაგრამ, მაინც ბევრია წყეული. ჯერ მაგრათა სდვას კიდვავ, სჩანს რომ ხელს უწყობს გრძნეული; ვერ ვიტყვით საბოლოათა, თუ ვინ იქნება ძლეული. ხან თხრილებიდან ესროლილობთ, — იხევა ყოფნის რვეული; ხან მივესევით პირის-პირ ხელ და ხელ გადარეული. ზოგი აქ ცვივა, ზოგი იქ თავ-გულ-მკერდ გადახეული; სიკვდილი ცელ მომართული ცხვირ წინა მიდვას წყეული; მაგრამ მაინც მსურს დაეუკრა (არ დგება გული ჩვეული) დავალიონო სიმღერა სიმწარით გამოწეული.

დღეს ისეთი ხანა დადვა მწუხარების, სიკვდილისა, რომ არავის შეუძლია ახსნას ბაგე სიცილისა. არვინ ფიქრობს დაინახოს მზის სხივები ხეალ დილისა და მღვიპარეს ეშინია მოსვენების და ძილისა. იქნებ ძილში ჩასცეს მტერმა ალესილი წვერი ხმლისა; დღეს დრო არის კვენესა-ოხვების, მოთქმა — ვიშის, ტირილისა.

მაგრამ დრო ხომ ცვალებადობს, ბრუნავს ჩარხი ეშმაკის; ბნელს — ნათელს ხსოვნის; და მეც მინდა მივლიდინო, სურვილი მაქვს სიცილისა; მსურს სიცილით რომ გაფანტო შავი სახე სიკვდილისა.

მათალია დღეს ვილგელმი დროს თავისად ათამაშებს, მაგრამ ვიცით იგივე დრო დიდხანს რომ არ აფარფაშებს მომავალში მისთვის კარგი არ რა მოაქვს ომს, მის ნაშევებს; ვერ დაიტევს მიწა ამდენს სისხლს უბრალო გამონაშევებს. — აღვირ-ახსნილ მის სურვილებს თავისუფლათ დღეს ანაშევებს ხელს ჩაუქერს მკაცრი ბედი, აღარ მისცემს გზას გასაშევებს, მე არ ვუკრთი მის სიმეცეს ჯოჯოხეთის კუჭით ნაშევებს, — ჩემის ხელით ჩამოვადლეჯ ზე აბზეკილ მის უღვაშევებს. —

კარგათ ვიცით ბონაპარტმა თუ მოსკოვში რაცა ნახა; შვა ზამთარში ვააცხელა და გაუშრა სიციით ხახა, — დამარცხდა და გაიპარა, გაქრა, რაცა განიზრახა; ცალ ასული მისი ბედი ჩამოვარდა, დაიშრა... — დღეს ვილგელმმა რუსეთისა რომ საზღვრები გადმოლახა და ვარშავის მან აღება უეჭველად განიზრახა, — მერე რაა? რომც აილოს, გაუშრება მასაც ხახა?

ავეტრისა ბერი მეფე გაუდენტლი ბოროტ გრძნობით, ვაიტაცა ბრძოლის ნდომამ, მიეკედლა ვილგელმს ძმობით. გადმოლახა მან საზღვრები, მიერია რუსეთს მტრობით, დამარცხდა და იგლეჯს წვერებს, სტირის, მოსთქვამს ბედის გმობით. — ჯერ სად არის, აწი ნახოს რომ დამრჩება კუჭის ხმობით.

გაზაფხულზე ბუდაპეშტში  
 ფეხის ფეხზე გადაყრდნობით  
 დასკუბდები სასახლეში,  
 ვულ დამტკობი ქება—ხოტბით  
 აბა მაშვინ იყოყონოს  
 კიზერის იმან ქობით.  
 რუმინია, მულგარეთი  
 რასა ფიქრობს განზე დგომით?  
 თითოს მაგრათ რომ ვთუთაქებ,  
 თავს მოიხრის მეგობრობით...

ტკბილი არის ოცნებობა,  
 ლექსი მოდის მეტად გრძელად—  
 დღეს დროება შეიცვალა  
 უფრო ცხარედ, უფრო მწველიად.  
 ოსმალეთიც ადგა ჩვენზე  
 დასარბევად, დასაწველიად,  
 სურს ისევე ვაგვასუნოს  
 რაც ყოფილა ჩვენში ძველად.  
 თბილისი სურს ვაგვატონსა  
 ბინძურ ფეხის მოსართხმელად;  
 ოსმალეთი თვის დაღუპვის,  
 დახობის დღეს ადრე ნახავს;  
 სხვისი რომ სურს დასაპყრობათ,  
 ვერც თავისას შეინახავს...

და სულ ადრე ვაიგონებთ,  
 რომ თათრები დაძლეულა,  
 არზუმიდან ის ძუნძულით  
 სტამბოლისკენ გაქცეულა  
 და სტამბოლიც ჩვენის ჯარით  
 დაპყრობილა, დაქცეულა;  
 ოსმალეთი ვერც ადგება,  
 ისე მაგრათ წაქცეულა;  
 ჩვენს მტრებსა რომ არ ექნება  
 წამოდგომის ძალა—ლონე,—  
 მხოლოდ მაშინ ვამიხსენე  
 მხოლოდ მაშინ მომიგონე;  
 მანამდე კი...

დავიღალე,  
 ჩემი სტვირი განზე მივდე  
 და ვინ იცის რომ მედირსოს  
 ხელთ აღება მისი კიდე;  
 მაგრამ დღეს კი ამ ლიღინით  
 გული მაინც დაეიმწვიდე...—  
 მტერი მოდის და ვვიბრძანებს  
 იერიშით წინ წავიდე.

ბერი ქელანი.

„გაბორახის“ შარავანი  
 ზეზ-ნიონიანი.



ი. გრიშაშვილი.

ახალ-მოდნი მგოსანი ვარ  
 თვალ ტანადი სასიამო;  
 ვიცი როდის გამოვაწყო  
 ან დილა და ან საღამო.  
 ასე არ ვქნა, რით ვიცხოვრო,  
 რა ჩაეცვა, ან რა ვქამო,  
 ან ვის უთხრა „უქანქართო“—  
 „გენაცვალე“, „ტყეში წაშო“?!

ნიორი.

# ს ი ტ ყ ვ ა

წარმოთქმული აკაკის დასაფლავებაზე ეგგენი  
 გამგეჰკარის მიერ.

მუქალაქენო! ამ საშინელ და დიდათ სერიო-  
 ზულ დროს, როცა მსოფლიო გახვეულია ცეცხლის  
 ალში, როცა ორი მხრით ჩვენ მტერი გვადგია და  
 თვითეული ჩვენგანი მხოლოდ და ფიქრობს ბრძო-  
 ლის ველზე გასულ შვილზე, ძმაზე და ნაცნობ მე-  
 გობარზე, როცა გლოვის ბნელ ზეწარით გადაფარე-  
 ბულია მთელი ჩვენეი პაწია ქვეყანა, აი ამ დროს  
 უცებ, რაღაც ჯადოსნური ძალით დაივიწყა ჩვენმა





მეგენი გამბეჭდარი.

ხალხმა ყველა ეს გაპირება, დაივიწყა ყველამ თავისი პირადი გლოვა და მიეცა განუზომელ მწუხარებას, შეიმოსა ძაძით ერთი პირის დაკარგვის გამო. ეს პირია თქვენ წინაშე მდებარე დიდებული ცხედარი, ჩვენი საყვარელი მგოსანი აკაკი. თქვენ უნდა გენახათ ის აუარებელი ხალხი, რომელნიც ხედებოდნენ ძვირფას ცხედარს მთელ ამ შორ გზაზე საჩხერადან თილისამდე და მუხლ მორდებით, დამწუხრებული სახით თაყვანს სცემდნენ წმინდა ნეშოს, უნდა გენახათ თვალკრემლიანი, აქვითინებული სოფლის მცხოვრებნი, რომ ვეთქვათ: მოკვდა საქარულელს უდიდესი შვილი და მის წმინდა ცხედარს მოკრძალებით საუკუნო სამარემდის აცილებს მადლიერი ერიო. ეს იშვიათი სახალხო გლოვა არ არის გლოვა მოწყობილი მეთაურთა და ჯგუფთა მიერ წინდაწინ განზომილი; არა, ეს არის გლოვა სტიქიური, მასის სულის კვეთების შადრევანსავით ამონებთქვა—შუუჩებრებელი ბუნებრივი საერთო დამწუხრება. რაშია საქმე? როგორ დაიშახურა ერთმა ქაცმა ასეთი გულწრფელი სახალხო გლოვა? ასეთი დიდი, განუზომელი სიყვარული? რა იყო აკაკი ხალხისათვის და ხალხი აკაკისათვის?

მხოლოდ ორი მგოსანი მიუახლოვდა ყველაზე უფრო ახლო ქართველი ერის სულიერ განძს, მის შინაგან წმინდათა წმინდას, მის გრძობებს და ნაციონალურ ტემპერამენტს. ისინი შევიდნენ ნაციის უხილავ საღაროში, ჩაწვდნენ მის სიღრმეს და გამოიტანეს იქიდან საუკეთესო მარგალიტები და შემდეგ ის გამშენიერებულ გასპეტაკებული, საუცხოვო მუსიკალურ პოეზიით გარდაქმნილი ხალხსავე

უკან დაუბრუნეს და ციურ პანგებში გამოსქედეს ეროვნული ორგანიზმით. ეს ორი მგოსანია რუსთაველი და აკაკი. საქირო იყო რუსთაველი, რომ რუსთაველს მისცემოდა ღირსეული მემკვიდრე. თავისი მოტივებით, თავისი პანგებით ეს ორი მგოსანი განსხვავდებიან ისე, როგორც განსხვავდება მათი ეპოქა. აკაკი მეთორმეტე საუკუნეში იქნებოდა რუსთაველი, რუსთაველი მეცხრამეტე საუკუნეში იქნებოდა აკაკი. რა იყო აკაკის პოეზიის მთავარი პანგი? რის სამსახურათ გამოიყენა მან თავისი ზეციური ნიჭი? რას უგალობდა ის? აკაკი საზოგადო სპარეზზე გამოვიდა სწორედ მაშინ, როდესაც ჩვენი მშრომელი ხალხი მონაბის მიმე უღლის ქვეშ გმინავდა და ისიც მთელი თავისი ძალ-ღონით ეკვეთა ამ საშინელ ბოროტებას. შემდეგ იმსხვრევა მონაბის ჯაჭვი და ის ღვთაებრივ, სულის წარმატ პანგებით უმღერის თავისუფალ გლეხის შვილს. ამ უკანასკნელში ის ხედავს იმ მცხოვრებელ ძალას, რომელმაც უნდა შეუცვალოს ძირიან ფესვიანად ელფერი ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას და გაუკავოს ქართველ ხალხს ფართო გზა საკაცობრიო იდეალისკენ. თავისუფალი გლეხის შვილი ცოდნით აღჭურვილი, აი რა დაუღდა საფუძვლით მის ღვთაებრივ პოეზიას. ახალმა ეპოქამ წარმოშვა ჩვენს საზოგადო დაწესებულებებში: ბანკები, პრესა, თეატრი და წვეც ეხედავთ დიდებულ მგოსანს ცხოვრების ყველა დარგებში „დროების“ დემოკრატიულ ჯგუფის მემბირატრეთ. ის ებრძვის შეუპოვრად ყველა იმათ, ვინც ამეფებდა ზრუნვას ჩინ-ორდენებზე და პირადულ ინტერესებზე, მისი მწვეფ და იმავე დროს ტკბილი სატირა მუსრს ავლებს და საშინელ არე-დარევას იწვევს ქვეშობომ, ფლიდ „რუსეთუმეთა“ ბანაკში.

დგება ისტორიული ხანა 1905 წელი და ამოძრავებული ხალხი მისწრაფვის თავისუფლებისაკენ და საყვარელი აკაკი აქაც იმავე დემოკრატ და ოპოზიციონერად ევლინება საშობლო მხარეს. რადგან მას სწამდა, რომ წყალი ხორცს ჰმანს და სისხლი სულს. მოქალაქენო, ჩვენი უკვდავი აკაკი თავის უკვდავ ლექსებში უგალობდა თავისუფლებას როგორც თვითეულ პირს, ისე მთელ ერს; თავისუფალი ხალხი თავისუფალ საშობლოში, აი მისი დროშა. მხოლოდ მისი ძლიერი სიმები არ ნაკლებ ეღეროდნენ სხვა დაჩავრულ ერთათვის. ის იყო პატრიოტი ამ სიტყვას კეთილშობილიური მნიშვნელობით. ერთა შირის თანასწორობა და ურთიერთ შორის სამართლიანი, მშვიდობიანი მეზობლობის დამყარება, ეს არის მისი ნაციონალური პანგების მთავარი სარჩული. დიდებული მგოსანი ბოლომდისინ შერჩა

„დროების“ დებულებას. „ერთად დგომით ავშენდებით, ცალ-ცალკე დგომით დავიქცევით“ და განა ეს საამდროვო ლოზუნგი არ არის? განა დღესაც ამ საერთო ქართველის დროს არ გვეკირია ერთად დგომა და ერთმანერთის ხელის შეწყობა? განა კავკასიის ერები არ საჭიროებენ ძმურათ ხელის ჩაკიდებას და საერთო მტერთა წინააღმდეგ შებრძოლებას? დიახ, მოქალაქეო, ჩვენი სიამაყე აკაკი არ იყო მომხრე დაჩაგვრის და განადგურებისა და ეს დროა არის იგივე დროა კავკასიის ინტერნაციონალური დემოკრატიის. აკაკის გენიალურმა შემოქმედებამ, მისმა ღვთაებრივმა პოეზიამ დაუმტკიცა მთელ განათლებულ კაცობრიობას, რომ უკვდავია ერი, მისი წარმომშობი, რომ ქართველ ერს ჯერ არ უთქვამს უკაცნელი სიტყვა. მშრომელი ხალხის სახელით მუხლს ვიდრეც შენი ცხედრის წინაშე და ვაცხადებთ, რომ ერთად ერთი მგოსანი უკანასკნელი საუკუნისა, რომელიც ღირსია საჯაროთ დადნის გვირგვინით შემკობისა მსგავსათ ძველი საბერძნეთის გმირებისა, შენ ხარ ძვირფსო ჩვენო საყვარელო აკაკი.

## ს ა ს რ უ მ ს

(ძღვანად ნ — ნას).

ნაზო, ნარნარო,  
სხივ-მოცინარო,  
შენ მხოლოდ წმინდავ,  
ნამებრ ციმციმავე!..  
შენა ხარ, შენა,  
ზე-აღმაფურენა;  
შენით ესულდგმულობ,  
როს შენა გგულობ;  
შენგან მაქვს შეგება,  
როს მტანჯს ვაება,  
ოხვრა, ნაღველი,  
ცეცხლი დამწყველი;  
ამდროს შენ გელი, —  
შველას მოველი!..  
ეს ქარიშხალიც,  
ეს ცეცხლის ალიც,  
დღეს რომ ძრწის მგლურად —  
თვის უნებურად;  
ნუ, ნუ გგონია,  
მონაგონია,  
რომ გზა გაკაფოს  
გეწვიო — სატრფოს...  
ნაზო, ნარნარო,  
ბაგე-მლიმარო,  
მე შენ მოგელი  
მომეცი ხელი!..

მის. ნინოწმინდელი.

## ს უ რ ა თ ე ზ ე

(უძღვან სტ. მამბეკიანი)

რომ განამტკიცო კავშირი მსხრობ, სულ სხვა ჯაჭვია მისთვის დაწული...  
(არწმუნა მაგარი, სიმართლე წრფელი, —  
აი, ის ძალა არის რომელი...)

მაგრამ, ცხოვრება ტანჯული, მწარი,  
რომ თვალიწინ გეღვას — ეს სახსოვარი  
მისთვის მოგიძღვენ, — რომ ამხანავი,  
აგრეც ტანჯული, მედგარი, შმაგი  
ამ სხვის სურათში თვისსაცა ნახავ  
და შეუბოგრათ შესძახებ: — „ჩმახავ!..  
ვერ მოგვატყუებ გველური ენით;  
ვერც ვაგვტყუებ წელში მახვილით შენით...  
კმარა. განშორდეს ცხოვრებას ცული!..  
შორს, ბორკილებო! აწ განადგურდი!..“

ს — ლი.

## რუსეთის გახეთქება

რუსულ გახეთქებაში „კიევსკაია მისლ“ ვას. ჩა-  
გოვეცი სწერს:

„ამ დღებში გარდაიცვალა საქართველოს დიდებული მგოსანი. სწორედ საკვირველია, რა ძლიერ ცოტა სთქვეს ამ მგოსნის შესახებ რუსეთის გახეთქებამ. თითქოს მგოსანი ჩვენი დროის კაცი არ ყოფილიყოს, ესლა არ ეცხოვროს ჩვენ შორის, თითქოს გარდაცვლილიყოს თანამედროვე მგოსანი კი არა, არამედ ლეგენდალური გომერი, რომლის შესახებ კნობები მოიპოვება ენციკლოპედიაში...“

ზო ამ გულთ ვიცი, რომ მგოსანი იმ ხალხის სული და გულია, რომელთანაც მეზობლად და მეგობრად ვცხოვრობთ მთელი საუკუნის განმავლობაში.


სამწუხაროდ, რუსეთი სრულებით არ იცნობს კავკასიას. კავკასია მისთვის კავკასიაა და მეტი არაფერი. მისი სახეთის გარდა რუსმა არაფერი იცის.

— მარჯვენე მოიხედავს რუსი, — რა ვიცი, რა საქაჯეთია, მარცხენე — ეშმაკსაც წაუღია. შუაგულში კავკასიის მთებია.

რუსს ასე წარმოუდგენია კავკასიელი: ფაფახი ხურავს, ნაბაღი ასხია, ხანჯალი არტყავს და თვლებიდან ცეცხლს აფრქვევს.

მწვადი, ლეკური, ალავერდი...  
რუსის მკითხველი გაცივებულია ხოლომე, როცა კავკასიის საქმეებზე ჩამოვარდება ლაპარაკი.

— რაო? სომხეთის ავტონომიაო — სომხეთიც კავკასიის ეკუთვნის? საქართველოს ეროვნებათა



ვერთება, ოსეთის აღორძინებამ - ნუ თუ ყველა ეს კავკასიელს შეეხება?

უკვირს რუსსა და ვერაფერა გაუგია. ასევეა ლიტერატურისა და პოლიტიკის შესახებაც.

ამიტომაც არ არის საკვირველი, რომ საქართველოს დიდებულ მამულიშვილისა და მგონის შესახებ ვაჩვენებმა მხოლოდ თაირობოლოა და ისიც დაძველებული ცნობა დაბეჭდეს ენციკლ ოპედიდან.

მართლა და ასეთი გულგრილობა რუსისა კავკასიის შესახებ სწორედ რომ ვასაოცარი.

აბრა.

### მეგობარს.

(თარგმანი)

სწული სულის სიღრმიდან ოდეს მომსკდარ გენიამ თვალი დამიბნელოს; ძმავ, ფრთხილად, გული არ დაგიღონდეს; თუნდ ტანჯვას გრძობდღე თვით უსაშველოს... ჩემს წამებასაც აქვს საყუდარი, თვისი წესრიგის... თუ კი ინება, სწრაფლ გამშორდება სევდათა ჯარი, სულის დუმბილში გაიყინება...

ირ. ტოფაძე.

### პურ მოკრული აგბავი

— აბა, კი გამარჯობა ჩემს თომას, კი, ხომ კარგათ ხარ, ჩემო თომა? მერწმუნე, ძან გამეხარდა, რომ გნახე; თითქმის წელიწადზე მეტია არ მიხახახებარ და, შენ წარმოიდგინე, რამტელი ცვლილება მოგცემია ამ მცირე ხანის განმავლობაში. ერთი წელიწადიც კიდევ რომ არ მენახე, დაიჯერე, ვეღარ გიცნობდი!.. აბა, უკურე, თეთრიც კი გამოგრევი თმაში, რა დროს შენი, ჭლარაა კაცო! ხედავ, მე რამტელი ხნით შენზე დიდი ვარ და ერთი დერიც კი არ მირევი თმაში!.

— ეჰ, ჩემო ძმაო, თმაში თეთრი კი არა, თმა რომ თლათ გაცვენილი არა მქვს, არ გიკვირს ჩემი ცოლის გადაქცილეს?...  
ეჰ, შენ ხომ ქალების სამდურავი მუდამ იცოდი და კიდევ არ მოვიშლია!.

— მე მაშინ დავიშლი ქალებზე სამდურავის თქმას, რომ ისინი ყველა ომში გაეწვიათ...

— ქალები, თორემ შენ არაპირებ ომში წასვლას?

— ომში, ძმაო, ხუთი წელიწადია გაბმული ვარ და, მე მგონია, სიკვდილამდი ვერც ვავათავებ ომს; ვერც დავიხსნი თავს ჩემი მოპირდაპირისაგან ვერაფე-

რი ვადასახადით; ვერაფერი კონტრბუტის მიცემით და რიგით სხვა ომი დღე მყევულებს...

— კარგი ერთი, თუ დღე მყევულებს შენ ხუმრობას გაყვი და აღარ მაცალე დანარჩენი ანბაცი-მეკითხა. შენი მეუღლე როგორ არის? გუშინ მი თხრეს ძან ავად არისო, ეს ორი დღეა ლოგინიდან არ ამდგარა - წვესო. მართალია?

— მართალია

— უჰ, ღმერთო მომკალი! თუძმახარ ბოღიში მომთხოვე იმასთან!.. კაცო, უბედურებაა ხომ ეს ჩვენი სამსახური: იმტელ დროს ვერ იშოვნე, რომ მიხვიდე ვისთანმე და ინახულო...

— არა, ძმაო, ნუ გგონია, რომ მაგგვარი გულშემატკივრობისთვის მადლიერი დავარჩე...

— რატომ კაცო?

— იმიტომ რომ შენ ჩემი ორი დღის თავისუფლება შეგშურებია...

ჭიჭიკო.

### სოლომონ ბრძენის რჩევა

(შარა)

ბავშობისას სოლომონი ცხენობანას თამაშობდა; ცხენსა იჯდა უხსეულოს; თავის დღეში კვიცს არ შობდა. უფრო იყო შინდის კეტი, იმისთვის კი რაშსა სჯობდა. ვარბოდა და გამობრბოდა თავის ჯირითს მით ამკობდა.

წინ ვაღუდგა ერთი კაცი, სთხოვა, ბავშო, მომეც რჩევა. ცოლის შერთვა განვიძრახე, მასწყულეო მის არჩევა. ქალწულს, ქვრივსა, ქმარ-განაშვებს რა განსაზღვრავს, რით ირჩევა? ამიხსენი შენსა ვაზრდას აგრემც ღმერთი შეგმწევა.

სოლომონმა უპასუხა: შენს კითხვებზე მეცილება. ნუ თუ შენ ვერ გაარკვიე მაგა სამთა განსხვავება? ქალწულს ითხოვე შენ იციო და თუ ქვრივსა-მისი ნება, ქმარ გაშვებულს თუ შეირთავ; იქით წადი, ცხენი ფრთხება.

ეს უთხრა და მათრანი ჰკრა  
გააქენა თვისი რაში.  
რჩევის მთხოვი გააშტრა,  
როგორც მოლა ჩასო ჩლაში.  
ფიქრს მიეცა მოულოდნელს,  
გადერია ფიქრის ზღაში.  
გამოერკვა და საცოლუ  
აირჩია ერთი სამში.

სოლომონის ეს პასუხი  
დარიგებას უფრო ჰგავდა,  
მას პირის-პირ არა ჰკადრა,  
არ აწყინა არ ვაავდა.  
მათრანი ჰკრა ჯოხის ცხენსა;  
აწუ ცხენო, გაუჯავრდა.  
აბა ჩემო მეგობარო,  
სამში რომელს შეირთავდა?

გირჩევთ ყველა საცოლესა,  
შეუღებთ გამოკვლევას,  
მხოლოდ კი არ ვაღუხვიოთ,  
სოლომონის წმიდა რჩევას.  
ენებათ ღელვამ არ დაგძლიოთ,  
თქვენ სცილობდით მის დაღუვას.  
აბა რჩევით მოიშორებთ  
ცოლის შერთვით ბედის წევას.

ან განჯის-კარელი.

## გურული სცენა.

შენი მტერი და ორგული შეწუხდა ისე, შენს  
დამაწყვარს და ავის მდომელს გადირო ისე ძმარი  
გულზე, რავეც ჩვენ შევწუხდით და რავეც ჩვენ  
გადავერო ძმარი გულზე, რავეც კი შევიტყვეთ  
აკაკის სიკვდილი. ვითამ რავე არ შევწუხდებოდით  
და არ დავლონდებოდით! ვინ იყო იმისთანა განი-  
ქებული და ღმერთ გამწყარლი გურიანში, რომ მისი  
სახელი არ ქანოდა ვაგებული და იგი არ სკოდ-  
ნოდა, ვინ იყო აკაკი. უმისოთ მე შენ გეტყვი და  
ტირილი ვარგოდა თუ ქობარწილი ჩეგური თუ გი-  
ტარა. დღე და ღამე, ძილში და ღვიძილში სიზ-  
მარში და ცხადში, გლეხისას და აზნაურისას, ყოლ-  
თვინ, ყველგან და ყველას აკაკი ეყრა პირზე. მო-  
გეწონებოდა ლექსი, გადაგფრავდა გულზე, მიგა-  
ნაბიებდა თვალებს, გამოგაქვეტებდა ყურებს, და-  
გაფრენებდა პირს, გადავახალისებდა, ერთს ყურს  
მოკრავდი და ზეპირად იცოდი, ასიგზობა გეიგო-  
ნებდი და ღმერთო ასისგზობა კიდევ გამაგონეო  
იტყოდი, რომ არ მოგწყინდებოდა, დამწყის დალო-  
ცავდი და გენაცვალე ყაშიოა წამეტიკრიმანქულებდი,

ამფერი იყო აკაკის ლექსები და ამფერი ღვთის ნი-  
ერი და ცათა სტორი კაცი ვადილეო... ქვეყანას და  
რავე ფიქრობთ არ მოგვექვეყნოლო... ვაგეწი-  
ნა მარა პაწეი კი არ გვეწყინა, მარა რას იზამ რა-  
საც ვერ მიერევი იმას რომ ეველო, აბდალაი იქნები...  
მევიყარეთ თავი ძველებურა და არც თლა ძველე  
ბურა ასე ავერ გუზხამა, ასე ქვეა ამ ათი წლის წი-  
ნათ რომ ვიცოდით, მევიყარეთ თავი, ევირჩიეთ  
თავმჯდომარე და დაუსვით საკითხი რაფერ გვეცა პა-  
ტივი ქვეყნის მიცვალებულიზა და რა მონაწილეობა  
მიგველო მის დამარხვაში. ვილაპარაკეთ, ვიმჯგლეთ,  
ვიკამათეთ და გამოვარკვიეთ, რომ ჩვენც გურიის  
გლეხობამაც უნდა ვაგვზავნოთ დელეგატი და ჩვენ  
სახელით იქინეთ ამან სიტყვა უნდა თქვას... კიდევ  
კვი დელილოცა ახალი დროი თვარა ძველი დროი  
რომ ყოფილიყო, აკაკის დამარხვაზე მარტუაი გუ-  
რიიდან მუუვილოდა ერთი სამი ათასი მოზარე, მი-  
სი წასაბურავი და მისი შესაწიერი და ახლა მთელ-  
მა გურიათ ერთი დელეგატი ვაგვზავნეთ და არც  
მოზარე უნდა, არც ხელში ჩამკიდე, არც ჩამკიე-  
ლებელი და არც დამშვენებელიო... წამხთარ საქ-  
მეზე და ამ საშინელ სიმშობაზე ავიც კაია, კია  
დაგემართოს, მარა პაწეი იმის ვაგონებაც ქე მამა  
დელეგატი ვაგვზავნოთო რომ გადაწყება, ვიფიქრე  
ავია აკაკი რომ სწერდა მოვესწრები რაც შინდო-  
ლაო, ვიფიქრე ცოცხალი ვერ მიესწრა მარა იგი  
დელეგატობა და დელეგატსკი პოეზი დამარხვამდი  
მანც ქე მიესწრა მეთქი, ვამიხარდა, გული ამიკუნ-  
ტრუკდა და დელეგატს რომ ირჩევდენ დამასახელეს.  
ქე დავიდგი მეც ყუთი, ვიფიქრე იქნება ჩემიც გა-  
მოსათავია და ერთს დელეგატსკი პოეზილით მანც  
ჩავხარინენდები თფილისში და რაცხას დამიმოწმებენ  
ავი მეზობლები იქინეი რავე ვერ ეტყვი მეთქი...  
ჩავედი საჯავახოში... ჩავედი პოეზიში, მარა უკა-  
ცრავად ჩავედი კი არა ვაგეწრდი ფეხზე რავეცხა,  
მთლად ამოშუშებული იყო ხალხით მთელი პოეზი,  
ვიფიქრე ყველი დელეგატია მეთქი და ქე მეწყინა  
გურიას რიგა აჯობა სხვა კუთხემ მეთქი... ჩამეი-  
რა კონდუქტორი და მეითხოვა ბილეთი. რა ბილე-  
თი, რას ბილეთი, მე დელეგატი ვარ მეთქი... რა  
გამასხრებს ამ ხნის კაცსო მითხრა, ხომ არ ვინდა  
ჯანდარს დუუძახოო. ერთი სიტყვით არ გვედა ჩე-  
მი მასთან აფერი და ვიკადრე სამტრედიაში ბილე-  
თის აღება... ჩამევედი თფილისში მარა რა ჩამევედი.  
ძალიანი ღიღი ჯარი იყო... ამისანაი ტირილის  
მომსრე არ ვარ ჯერე. კიდევ კვი რომ ახალი დრო-  
ი და და ქაცის დამარხვაზე აღარც სასმელი  
იციან და აღარც საქმელი თვარა ყველიზა რომ  
საქმელი ექმენ ყველა წერეთლები საულოზა არ



# დაბა-სოფელი

გაძღვებდა ამ სერესკელს...გამვიდა წირვა გამუ-  
სვენს...დასვენეს სულტონებული დიდ მიედანზე  
აქნაი ახლა გამოსახობარი სიტყვები უნდა უთხრა-  
ნო... ეგობუბე, მევინაღ კონდანო. აქნაი სიტ-  
ყვის თქმაი კი არ დარჩა თლა ადვილი, მე გვიმრა-  
ლაში და დობირაში ვიყავი კაი ორატორი, რომ  
შევდგებოდი ჯიკვზე ჩემს მუხებლებში თვარა აქნაი  
ქვეყანა იყო და მე რაფერ გავებდავდი, მარა რომ  
არ მეთქვა გურიაში ვერ ჩავიდოდი მოლაღატეს და-  
მიძახებდენ...ამიზა ქე ვითხუე მეც... გვიკადა უწინ  
ნიკოლაძე, ილაპარაკა რაცხა, მარა ფუჩუნობდა და  
ვეფერი ვიყოვანე, ილაპარაკა მერე ჩვენნი დემუტა-  
ტი რომ გვიკეთკარი. მოვკვამე ჭირი ყარყანტო-  
ში, ყორიფელი კაი თქვა მარა მოქალაქენოთ რომ  
თქვა ამხანაგებოთ არ დააყოლა არ ვიცი დააიფყ-  
და და არ ვიცი არ გვიკადრა მარა რაცხა თქვა ისე  
კარგად თქვა, რომ ყველა კაკლა კაკლათ გავავა-  
ნა და პაწვი აგი სულ ცხოვრებული დროიქ ქე გა-  
მასხენა... მერე იმან ილაპარაკა გეგეკორს რომ  
შიეცილა აწი მე ვიქნები დემუტატათო, ამაშიძემ,  
ვერ წევიწყმენდ სულს იმანაც კაი ლამაზათ ილა-  
პარაკა მარა სად იმის რიხი მძე და სად ეგვენის...  
კაი ამ ორმა ნადემუტარამ და სადემუტარამ რომ  
ილაპარაკეს ნამდვილი დემუტატი ვიკითხე და მით-  
ხრეს იმას არ სცალიათ ტირილზე კი არა დუმუში  
ვერ წევიდაო, ვირებს და ჯორებს ყიდულობსო...  
მერე ილაპარაკეს თათარმა, სომეხმა, ურიამ და რა  
ვიცი ყველა რჯულის და ენის კაცმა, მეც ქე მე-  
ვითხოვე აწი მეც მათქმით ჩემი სათქმელი გუ-  
რიის გლენების მაგიერ შეთქი, მარა მქაჩეს ხელი და  
არ გამიშვებს ტრიბუნაზე... კმარა რაც ითქვაო, მე  
შქონდა ვექილობა და, მე ჩემი ვექილობა არე-  
კაცოხა ვადამიცია და ძალიანი მივეკის და დიდ  
პროტესტსაც ვაცხადებ, რომ ნება არ მომიცეს ჩემი  
სათქმელი მეც მეთქვა, მეც გული მემეოხებია და  
ჩემი ვალი მომხება... რა იქნა შე დალოცვილო  
გლახის ალაბი ხომ არაა რაე პოლიცია არ მიშლის  
და შენ მანვე ვარესი რაფერ გახდი... თუ ქუთეისის  
ქალაქის თავს მიეკით ზოდრაათა ყველას მაგიერი  
სალაპარაკო, იმან თუ ხუთ ადგილას და ხუთჯერ  
თქვა მე ერთი რეზა არ მომიწია, მარა აფერია იქ-  
ნება ქე ჩამოხვდეთ კიდევ გურიაში და ვინც ჩვენნი  
პარტიის არ იქნებით, არც ჩვენ გალაპარაკებთ.

### ტარხუნა.



**საჯევახო.** საჯევახოს სადგურის „მოხელეებს“  
და „ტვირთ მიძიმე“ მუშებ შორის „დიდი სოლი-  
დარობა და კავშირი“ დაარსდა. წარსულ შემოდგო-  
მანზე ასეთმა კავშირმა „აკუპაცია“ უყო ერთ ჯიუტ  
მუშას გუარად გოგოტოურს,—რადგან ხსენებული  
მუშა „კავშირისათვის“ „არასაიმედო“ გამოდგა.

— აქაურ ზოგიერთ მოვატრეებს ერთხმით გა-  
დაუწყვეტითათ რომ „სამკითხველოში“ ფეხი არ  
შედგან, რადგან ომის საშინელი ამბებით შეიძლება  
ყველას „ნერვები“ აეშალოს. სამაგიეროთ ჩერეზ  
ტომინი“ და „კარტ-ნარტ-კამათლები“ ძალიან „ხო-  
შია“, და ზოგიერთი ვაქატონები ტვინს ამით ავარ-  
ჯიშებენ—ყველა ამებთან ვატრებს გადაუწყვეტია,  
რომ საუატრო ნიფთებს ფსი ერთი ხუთათ აუწონ  
და ასე დამშეულ სოფლებებს თანაგრძნობა გაუ-  
წიონ.

— საჯევახოს ბანკის გამგეობას და საბჭოს გა-  
დაწყვეტილი ქონდა, რომ ომში დატრილთათვის  
საჯევახოში 1/2 საზოლი მინც მოეწყო. ამ მიზნი  
გახსნეს კასა, მაგრამ შიგ ერთი შაურიც არ აღმოჩნ-  
და. ჯერ-ჯერობით ვერაფერი გაიგეს—სად გაიფლან-  
გა ბანკის ფულები.

— თითქმის ყველა მახლობელ საზოგადოებებ-  
ში წვირ-წვირილად და მსხვილ-მსხვილად საზოგა-  
დოებისგან აკრეფილი ფულები „შეუყლინწავსთა“  
„ვილაცას“. ამ „ვილაცეებს“ ძეძებს ხალხი, მარა ჯერ  
დანამდვილებით ვერ მიაგნეს. ზოგი „მოცე მწერ-  
ლებს“ ამრალებს და ზოგიც „ალიერ-წახსნილ მამა-  
სახლისებს“. განზრახვა აქვთ ადგილობრივ ადმინის-  
ტრაციას ყოჩალი კომისიები არჩევიონ.

### ჯოჯოხეთელი.

**სამტრედია.** თუ რომ ვიკოდე, რა ხდება  
ამ ჩვენ კურთხეულ დაბასა,  
ვინ რას მოქმედობს, რას ეტრფის,  
ან თუ ქალები—კაბასა  
რავს იკერვენ,—რა გვარად,  
ანუ როგორი ფერისა...  
თუ შეიძლება ვიკოდე  
აღწერა ყველაფერისა.  
რა უნაკლულოდ აგოწრთ,  
რომ გამოვიდეს მთლიანად  
დასაგემო-მოსაწონარი  
განსაჯოთ სამართლიანად.  
მაგრამ, ვაი თუ გამოწყრენ,  
მოხუცსა მცემონ ჯოხითა,

ვიცი, რომ იმათ არ მოსწონს მე რომ დავდივარ ჩოხითა.

არც მე მცალია, არც იმათ კლუბში არიან წასული, ბევრი დაძვრება ამათში ვითა სატანა, ავ-სული.

უსაქმურობა, ქორობა შეადგენს ამათ საზრდოს! ქება-დიდება, ვინაჲ რომ ასეთი შეილი ზარდოსა.

ქალების შესაფერისად გვეზრდება ყმაწვილ — კაცობა რომ ლომ-ფეფხობენ, უფრო კი შეაფერებათ ვაცობა.

მშობლები მეცადინობენ რომ გაუნათლონ გონება, ვალს ლებულობენ, იღვწვიან არა შურთ მათთვის ქონება,

მაგრამ ესენი სხვა-გვარად უსტვენენ — ყმაწვილთ წესია! ვერ მოარჯულებს მაგათა, თუმც რომ მოვიდეს შესია.

თამბაქოს წევა, სიმთვრალე, ყოფა-ქცევითა მრუდობა, ჩხუბი და აყალ-მაყალი, ღრჯენა, ქალებში მრუშობა.

ხან და ხან უნდა გაუწყით ამათი ქცევა — გმირობა. მშობლებთან ერთად დღეიდან დადევით ესე პირობა.

ლამი-ვარ.

დ ე ნ ე შ ე ბ ი

(„შათრასას“ სეკუთარ კორესპონდენტებისკან).

**ჩენსტოხოვო.** გერმანელებმა პოლონეთის ტახტზე დასვეს ერცგერცოგი სტეფანე. საოცარია სწორედ გერმანელების საქციელი: პოლონეთს ანადგურებენ და გაოხრებულ ქვეყანას მეფეს უნიშნავენ.

**ვარშავა.** 9 იანვარს დილის 9 საათზე გერმანელები ვარშავისკენ მოდიოდნენ.

9 იანვარს საღამოს 9 საათზე გერმანელებმა დაიხიეს.

**პარიზი.** პარიზელმა ქალებმა ახალი მოდა შემოიღეს: შლიაპის მაგივრად იხურავენ აფიცრის

ქუღს — კასკას. მარაოს მაგივრად ხელში დამპაჩა უკავით. ტუფლების მაგივრად დეშენაწი წალებს იცვამენ. პარიზელებს ეს მოდა სრულად მოსწონს. ნემეცები გიყვებიან ესლა პარიზელ ქალების სიყვარულით. ამბობენ, ახალი მოდა ქალებს ძლიერ უხდებათო.

**ლონდონი.** ინგლისელები ძლიერა ჯავრობენ: როგორ გავვიხედეს ნემეცების ცეპელინებმა და ჰაეროლანებმა ჩვენზე იერიშით მოსვლა და შეუკვეთეს ვილჰელმს — ეგ რალაც მანქანებია, უკან დააბრუნე, თორემ შავ დღეს დაგაყენებთ — ამერიკასთან გიჩივლებთო.

**ბუშარესტი.** რუმინია ეუბნება იტალიასა, საბერძნეთსა და ბულგარიას: შენც — სუ, მეც — სუ და ისიც — სუ! ნამდვილი ნეიტრალიტეტი ეს არის.

**ათინა.** საფრანგეთისა და ინგლისის გემებმა დარდნეღის სრუტე დაიკავეს და დღეს თუ ხვალ სტამბოლში შევლენ.

**ლონდონი.** ბურუსის გამო ვერც ერთი ჩენი გემი დარდნეღის სრუტეში ვერ შევა.

**ტოკიო.** იაპონიამ ჩინელებს შეუთვალა — თქვენი სახელმწიფო გეჭირდება და დაგვიცალეთო.

**პეკინი.** ჩინეთმა ჯერ შეუთვალა იაპონიას — ბატონი ბძანდებიო, მაგრამ მერე ივარა — ჩვენ სადღა წავიდეთო და შეუთვალა იაპონიას ჩვენ ვერსად წავალთ და თუ გული გერჩის შენ თითონ მოძახლიო. ომი ჩინეთისა და იაპონიას შორის აუცილებელია. გერმანიას ეს ძლიერ უხარია. ამერიკას სწყინს.

**ტოკიო** ჩენა და ჩინეთი ერთმანერთში კარგად მოეწყობით. ომი არ მოხდება. გერმანიას სწყინს. ამერიკას უხარია.

**არზრუმო.** აქ ენვარ ფაშის ბძანება მოვიდა — ჯარი არდაგანზე და ახალქალაქზე ტფილისში წავიდესო — ძლიერ საჭიროა ამ ქალაქის აღებაო. არზრუმის უფროსი ძლიერ შექუზდა აქ ჯარი არ არისო და ვინ უნდა წავიდეს ტფილისში ასე მისწერა ენვერ ფაშას — ჯარი არა მყავს და გამომიგზავნეო. ენვერმა უპასუხა: ჯარი არც აქ არისო. მარტოკა ჩადი ტფილისში და თუ ქალაქის აღება ვერ მოახერხებ, უკან ნუ წამოხვალო.

**თავრიზი.** ძალი პატრონს ვედარ ცნობილობს თავრიზში. ზოგი ამბობს თავრიზი რულისაო, ზოგი გაიძახის სპარსეთისაო, ზოგი ამბობს ოსმალეთისაო და ზოგიც — დიკათა, ინგლისელები მოვლენ და თავრიზს დაეპატრონებიანო.

**სოხუმი.** დალოცვილი პატარა ნიკო (თავდგირიმე) გვიპირდებოდა სოხუმში რკინის გზას გამოეყვანო და ესლა არც რკინის გზა ვახლავთ და აღარც გემები მოდის. ვართ ზღვის პირის მომწყვედ-

ნი, ნიკოს ისევ უნდა ქალაქის მოურავობა და სრულდება ნურც რკინის გზა გინდათ და ნურც ქები. ჰაერობლანებს და ცუპელინებს ვიყიდითო.

**ბახმარა.** აქ მოვიდა თავისი ახალი ჰაერობლანი ცნობილი მფრინავი ქებურია. ორიოდე წლის მანძილი უკლად ბახმაროდ, მაგრამ მოტრასა უღალატა და ჰაერობლანი ჩამოვარდა და დაიფრა. ქებურია უფნებლად გადაიარა, ცხვირი კი აქვს დაწვეული. შეუდგა ახალ ჰაერობლანის გაკეთებას. უღვან ქებურია პირდაპირ ამერიკაში აპრობს გადგენას ახალი მანქანით.

**ქუთაისი** ქალაქის გამგეობა გვირბდება, ომი ამ გათავლებთ, ამა მაშინ გვიყურეთო. ერთ კვირზე გავიკეთებთ ტრამვისა, კანალიზაციას, წყლის ბუნებრივ მიღებას და მივლ ქუთაისის ელექტრონიკით განათებო. ქუთათურები ამ ამბით ძლიერ არიან დაბნეულნი. გამგეობის წევრი სიმონ ქვარიაანი არა იტყობა, ვინდურის ქალაქის მოურავს ჩიქოვანს, უჩხუბა და ხალხს ეუბნება—არაფერი დაუჯეროთ ჩიქოვანს—უჩემოთ ვერაფერს გააკეთებს და მე კი ბატონის გაკეთება არ მსურსო.

**ჭიათურა.** აქ სასამოვნო ამბავი მოვიდა: ორი წლის შემდეგ მივლ ქვეყანას ტყვია-წამალი და ყუმბარები დაეღწევა. მართალია, ხალხიც გაწყდება, მაგრამ მოზარდი თაობა წამოგვეწვევა, ჯარში წაიყვანონ და რადვანაც უეჭველია, რომ ტყვია წამალი და ყუმბარები ჯარის კაცებზე უფრო ადრევე დაიღწევა; ამიტომ კვლავ იქნება მოთხოვნილება შეგნებო და ვინც ომს ცოცხალი გადურჩება ორი წლის შემდეგ—ქიათურაში სამუშაოს იშოვნის და ერთ ლექმა პურს ეღირებო.

**შორაპანი.** აქ ამბავი მოვიდა—ქიათურელი მშობრები ავგერინოები ამ ქამად ბრაზილიაში არიან და შავი ქვის ბატანა უნდათ იქიდან ევროპაში წაიღონ. ბრაზილიელებმა აშხანაგ მუშებისგან მიიღეს ნებობა ავგერინოების გაიძვერაობისა და უნდათ ამერიკიდან გამოისტუმრონ ეტაფით.

**(ჭარბის საკეტო)**

**ხენაკი.** „სულდენი პრისთავის“ მოადგილე თ—რომ სისხლის სამართლის წესით საჩივარი აღძრვა ეგნატე ხარებავას შესახებ იმდენი ვცემე, რომ დღეს ხელის მოწერას ვერ ვახერხებდითო.

ხარებავაც თავის მხრით უჩივია თ—რის ცალი დედალის დაზიანებას და გვერდების გასიებას.

**ოზურგეთი.** თვით-მმართველობა აცხადებს, რომ მან აკაკის დასაფლავებაზე დაკარგა დელეგატი და...

**იქიდანვე.** აფთიაქის პროვიზორ-გამგის ადგი-

ლი ორმა ითხოვა, ერთი ნამღვლილი კარაველია, მეორე კი როგორც თვით აცხადებს, გრუზინ-მინგრელენ-ია საბჭოში დიდი კომუნალური უპირატესობა რომელს მისცენ. იმას, რომელსაც ორას ადგილას მიუღია პრაქტიკა თუ იმას, ვინც კრუბნით ერთ ადგილას მჯდარა.

**ხილის თავი.** (გურია) საკენკი რომ არ იყოს გამოღებული, წელს უსათუოდ ბევრ ქათმებს გამოვხრდითო, რადვანაც... (ვერ გავაჩრით)

**ბახვი.** კომისიას ჯერ თავისი შრომა არ დაუმთავრებია, რადვანაც საჭირო დარჩა ბებია ქალების დაკითხვა და ექსპერტების მოწვევა.

**ჯუშმათი.** (სადგური) ბათუმში მომუშავე დელიციანდები ეძებენ მეკურტე მუშებს, რადვანაც აქარაში ნადავლს რკინის გზა არ ღებულობს... გადმოტანა სამეხამდით ესე იგი ვინც სამ ტაშტს წამოიღებს ერთი გადმოტანის იქნება.

**ღანჩხუთი.** გლოვა და ტირილი, ტირილი და გლოვა. ან კი როგორ არ ვიტყვით, რა ვმეცლებს ამდენ ვსათხოვ და გათხოვილ ქალებს არ ვიცი თ შეიერთათვის სიმინდ გამოვიწეროთ თუ ქალებისათვის ქმრების მოადგილე.

**ბალაჯარა** აქაურ „კარტ-ბაკარისტებს“ მოსწყინდათ კარტი თამაში და კულტურულ საქმეს მოჰკიდეს ხელი. არსებენ ახალ სკენის მოყვარეთა ჯგუფს, ძველის წინააღმდეგ. შემოსავალი მოხმარდება „ბაკარაში“ დაზარალებული.

**ემშაკის მოციქული.**

**ზუგდიდი.** დ. ანაკლიდან ფილუქების ჩამოტანის შემდეგ ქუჩაში მოძრაობა გაჩაღდა. მიმოსვლა უფასოა. აუარებელი სამადლობელი წერილი მოსდით.

**ახალ-სენაკი.** ნოქრებმა ერთხმად დაადგინეს: დუქნები იღებოდეს და იკეტებოდეს ნორმალურ წესით: იღებოდეს დღის 5 საათზე, იკეტებოდეს საღამოს 12 საათზე. გაფიცვა ჯერ-ჯერობით სასურველად მიდის. მათ წინააღმდეგ სასტიკი ზომებია მიღებული.

**იქიდანვე.** ექიმი ადამია „ყუავილის“ შიშით ქუჩაში აღარ გამოდის.

**პროვინციელი ჭინკა.**



# გ ა მ ო ტ ა ნ ა

(ჯურუსველეობს)

წინად იყო სოფლის მამა.  
 მთლად მუხურა გადაქამა,  
 იმის მუცელს ვერ აძღებდა -  
 ვერც არჩივი, ვერცა ღრამა!  
 გაშიშული დადიოდა,  
 და მღეროდა „ჩარი-რამა“,  
 მაგრამ ვიღაც „უსამართლომ“  
 წაამკალა, წააშხამა.

ალარ შერჩა საქმე ავი -  
 ღადის პანღურ ანაკრავი,  
 მაგრამ ისე გაიძვერობს,  
 გვეგონებათ იყოს კრავი!




ისევ უნდა ძველებურათ -  
 მოსათალი, გასახრავი!  
 სიზმარშიაც ელანდება  
 საკუროთხი და საწირავი.

ამ მიზნისთვის ქორწილი ქნა  
 (ქალიშვილი გაათხუა),  
 სიძე ადგილს ჰპირდებოდა,  
 მაგრამ მანაც მოატყუა!

შელა მოძღვრად არ ივარგებს  
 ვის არა აქვს ამის კყუა?!  
 იგი უნდა წაწალეებდეს -  
 ქვეყნად სამართალი თუა.

წყობარტი.

## ო ს მ ა ლ ე თ უ ი



ფაშა. ცუდათ მიღის ჩენი საქმე, სულთანო! დარდანელს დაუ  
 სულთანო. ვაი ჩემს ღღეს, საღ დავიმალო.

